

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“  
პროდუქციის პასუხისმგებლიანი მართვის პროგრამა  
მდგრადი განახლებადი ელექტროენერგია

პროდუქციის პასუხისმგებლიანი მართვის პროგრამა დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ: გიორგი  
აბრამიშვილი

სარჩევი	
შესავალი.....	2
მიზანი და ზეგავლენის არეალი .....	2
პროდუქციის განსაზღვრა .....	3
მმართველობა და პასუხისმგებლობები .....	4
მონიტორინგი, მონაცემთა მართვა და გადამოწმება.....	5
გარემოსდაცვითი შესრულების მაჩვენებლები.....	5
ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების შესრულება .....	8
სოციალური საკითხების მიმართულების მართვა.....	9
უწყვეტი გაუმჯობესება .....	11
პროგრამის გადახედვა და განახლება.....	11
დანართი 1. პასუხისმგებელი განახლებადი ელექტროენერჯის მახასიათებლები.....	12

## შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ პროდუქციის პასუხისმგებლიანი მართვის პროგრამა

### შესავალი

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ (შემდგომში - „კომპანია“) გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს ჯამური 10.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1“ ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი“ (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის“ ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

ბახვი 1 ჰესის პროექტის განხორციელება დაგეგმილია გურიის რეგიონში, კერძოდ: მდ.ბახვისწყლის 1 735 და 1 383 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მდ.ბახვისწყლის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მშენებლობა, რომლის შემადგენლობაში იქნება სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი და მიწისზედა ჰესის შენობა. ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 10.9 მგვტ, ხოლო საპროექტო ხარჯი - 4მ<sup>3</sup>/წმ. სათავე ნაგებობა განთავსდება მდ.ბახვისწყლისა და მდ.ბაისურას ღელეს შესართავიდან 250 მ-ით ქვემოთ. შეტბორვის დონე იქნება ზღვის დონიდან 1731.70 მ, ხოლო ჰესის შენობის ქვედა ბიფის ნიშნული ზღვის დონიდან იქნება 1383.0 მ.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ ბახვი 1 ჰესს ავითარებს, როგორც განახლებადი ენერჯის ობიექტს. კომპანია აცნობიერებს, რომ მისი ძირითადი პროდუქტი მხოლოდ ელექტროენერგია არ არის. ეს არის განახლებადი ელექტროენერგია, რომელიც უნდა იწარმოებოდეს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პასუხისმგებლობის დაცვით. ამ მიზნით, კომპანია პროდუქტის პასუხისმგებლიანი მართვის მიდგომას იყენებს უკვე მშენებლობიდან ოპერირებაზე გადასვლის ეტაპიდან. ეს უზრუნველყოფს, რომ ბახვი 1 ჰესზე ელექტროენერჯის წარმოება დაიგეგმოს და განხორციელდეს პასუხისმგებლიანად, მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. მიდგომა მოიცავს წყლის რესურსების მდგრად გამოყენებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ეკოლოგიური ხარჯის მართვას, ჰესის საიმედო ოპერირებას, შრომისა და ადგილობრივი თემების უსაფრთხოებას, გამჭვირვალობას და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას.

აღნიშნული მიდგომა ასახავს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის ვალდებულებას, რომ ოპერირების დაწყების შემდეგ განახლებადი ელექტროენერგია იწარმოებოდეს არა მხოლოდ მნიშვნელოვნად დაბალი საოპერაციო ემისიებით, არამედ ადგილობრივი ეკოსისტემების დაცვით, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობით და ადგილობრივი თემების, სახელმწიფო უწყებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წინაშე ანგარიშვალდებულებით.

### მიზანი და ზეგავლენის არეალი

ეს პროგრამა განსაზღვრავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის მიერ წარმოებული ელექტროენერჯის მდგრადობის მახასიათებლებს და როგორ უზრუნველყოფს, რომ ოპერირების დაწყების შემდეგ ბახვი 1 ჰესის მიერ გამომუშავებულმა განახლებადმა

ელექტროენერჯიამ წვლილი შეიტანოს საქართველოს დაბალემისიურ განვითარებასა და კლიმატის უფრო ფართო მიზნების მიღწევაში.

პროგრამა ადგენს მკაფიო სისტემას ბახვი 1 ჰესის მიერ ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ წარმოებული ელექტროენერჯიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მახასიათებლების განსაზღვრის, მართვისა და კომუნიკაციისთვის. ამასთან, იგი ვრცელდება მშენებლობის და მშენებლობიდან ოპერირებაზე გადასვლის ეტაპებზე. ეს მოიცავს ელექტროენერჯიის წარმოებას, წყლის რესურსების მდგრად გამოყენებას, ეკოლოგიური ხარჯის მართვას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, გარემოსდაცვით კონტროლს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და საჭიროების შემთხვევაში, განახლებადი ენერჯიის მახასიათებლების სერტიფიცირებასა და გადაცემას.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების № 163/ს მოთხოვნებისა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

### **პროდუქციის განსაზღვრა**

კომპანია თავის ძირითად პროდუქტად განსაზღვრავს ბახვი 1 ჰესის მიერ წარმოებულ განახლებად ელექტროენერჯიას, რომელსაც საფუძვლად უდევს პასუხისმგებლიანი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრაქტიკა. ამ ელექტროენერჯიის მდგრადობა და პასუხისმგებლიანი წარმოება უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი მიმართულებებით:

1. **განახლებადი ჰიდროელექტროენერჯიის წარმოება** ჰესის ოპერირების დაწყების შემდეგ;
2. **ჰესის მდგრადი და ეფექტიანი ოპერირება**, მათ შორის რესურსების ოპტიმალური გამოყენება, პრევენციული ტექნიკური მომსახურება, სტაბილური მუშაობა და აქტივების გრძელვადიანი მართვა;
3. **ეკოლოგიური ხარჯის მართვა**, მათ შორის ბახვი 1 ჰესისთვის განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯის გატარება და მონიტორინგი გარემოსდაცვითი ვალდებულებებისა და საპროექტო მოთხოვნების შესაბამისად;
4. **თევზსავალის ოპერირება და მოვლა**, მათ შორის წყლის ეკოსისტემებს შორის კავშირის შენარჩუნება და თევზის გადაადგილების ხელშეწყობა ოპერირების ეტაპზე;
5. **ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მართვის მიდგომების განახლება**, მათ შორის წყლისა და ხმელეთის ბიომრავალფეროვნებაზე დაკვირვება და გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელება;
6. **გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულება**, მათ შორის გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებთან, კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემასთან, ასევე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობა. ეს მხარდაჭერილია შიდა, გარე და მარეგულირებელი მონიტორინგის სისტემებით;
7. **პროდუქტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი შედეგების მონიტორინგი**, მათ შორის წყლის გამოყენების, ეკოლოგიური ხარჯის მოთხოვნების შესრულების, ბიომრავალფეროვნების მაჩვენებლების, გარემოსდაცვითი ინციდენტების, შეუსაბამობებისა და გამოსასწორებელი ქმედებების აღრიცხვა;
8. **ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა**, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლების, კონტრაქტორების, ვიზიტორებისა და ჰესის საქმიანობით შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მყოფი სხვა პირების დაცვას;

9. **სოციალური პასუხისმგებლობა**, მათ შორის ადგილობრივ თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარული კომუნიკაცია, შესაძლებლობის შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ადგილობრივ ეკონომიკაში წვლილის შეტანა გადასახადებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა გადახდების მეშვეობით;
10. **დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და საჩივრების მექანიზმის მართვა**, რათა ჰქვას საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები მიღებული, განხილული, გადაწყვეტილი და დოკუმენტირებული იყოს მკაფიო პროცესის ფარგლებში;
11. **პროდუქტთან დაკავშირებული მდგრადობის ინფორმაციის გამჭვირვალე გასაჯაროება**, მათ შორის განახლებადი ელექტროენერჯის წარმოების, გარემოსდაცვითი შედეგების, მონიტორინგის მონაცემების, საჭიროების შემთხვევაში წარმოშობის სერტიფიკატებისა და ძირითადი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ვალდებულებების ასახვა წლიურ ანგარიშებსა და შესაბამის საჯარო მასალებში;
12. **საოპერაციო კონტროლის მექანიზმები**, რომლებიც მიმართულია შესაძლო გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ზემოქმედებების შემცირებისკენ მშენებლობიდან ოპერირებაზე გადასვლისა და მომავალი ოპერირების ეტაპებზე.

### **მმართველობა და პასუხისმგებლობები**

მოცემული პროგრამის განხორციელება ინტეგრირებულია ბაზვი 1 ჰესის კორპორაციული მმართველობის ჩარჩოში. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების სტრატეგიულ ზედამხედველობას, მათ შორის გარემოსდაცვითი შესრულების, კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაბამის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. პროგრამის პრაქტიკული განხორციელება უზრუნველყოფილია ბაზვი 1 ჰესის მენეჯმენტის მიერ, კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგთან (CCEH) კოორდინაციით.

ბაზვი 1 ჰესის ოპერირების დაწყების შემდეგ, CCEH-ის ოპერირების გუნდი სტრატეგიულ მხარდაჭერას გაუწევს ელექტროენერჯის წარმოების ზედამხედველობას. ეს მოიცავს წარმოების შედეგების მონიტორინგს, ტექნიკური საიმედოობის შეფასებას და მოქმედ საოპერაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი პასუხისმგებელია შედეგების ზედამხედველობაზე, მათ შორის:

1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და ნებართვის პირობების შესრულების მონიტორინგი;
2. ეკოლოგიური ხარჯისა და წყლის გამოყენების მონიტორინგზე ზედამხედველობა;
3. მარეგულირებელი მოთხოვნებით განსაზღვრული მდინარის ბუნებრივი ხარჯის მონიტორინგი;
4. ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებების განხორციელებისა და ეფექტიანობის გადამოწმების კოორდინაცია;
5. გარემოსდაცვითი მონაცემების შეგროვება, ანალიზი და ანგარიშგება;
6. სოციალური მიმართულებით არსებული მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ანგარიშგების დაგეგმვა და კოორდინაცია;
7. დაინტერესებული მხარეებისა და დასაქმებულთა საჩივრების მექანიზმების მართვა, მათ შორის საჩივრების რეგისტრაცია, განხილვა, შემდგომი რეაგირება და დახურვა;

- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების, მდგრადობის ანგარიშგებისა და საჭიროების შემთხვევაში, სერტიფიცირებასთან დაკავშირებული პროცესების მართვა.

მენეჯმენტი უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი, სოციალური, ოპერირებასთან დაკავშირებული მონაცემების თანმიმდევრულ აღრიცხვას, რეგულარულ გადახედვასა და სათანადო შენახვას, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობის შენარჩუნებას და საჭიროების შემთხვევაში გადამოწმების შესაძლებლობას.

### **მონიტორინგი, მონაცემთა მართვა და გადამოწმება**

საოპერაციო და გარემოსდაცვითი შედეგების მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით:

- SCADA სისტემებზე დაფუძნებული რეალურ დროში მონიტორინგი;
- რეგულარული შიდა და გარე მონიტორინგი;
- მესამე მხარის ლაბორატორიული ანალიზები;
- მარეგულირებელი ორგანოების ზედამხედველობა და აუდიტები;
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი გარე აუდიტები.

ყველა შესაბამისი მონაცემი სისტემურად აღრიცხება, ინახება და რეგულარულად გადაიხედება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სიზუსტე, მიკვლევადობა და შესაბამისობა მარეგულირებელ და ანგარიშგების მოთხოვნებთან. შესრულების მაჩვენებლები ექვემდებარება შიდა გადახედვას და შესაბამის შემთხვევებში, დამოუკიდებელ გადამოწმებას, რაც უზრუნველყოფს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია იყოს სანდო, თანმიმდევრული და უზრუნველყოფილი იყოს მისი გადამოწმების შესაძლებლობა.

### **გარემოსდაცვითი შესრულების მაჩვენებლები**

კომპანია გარემოსდაცვით საკითხებს მართავს მონიტორინგისა და შემარბილებელი ღონისძიებების სისტემის საფუძველზე. აღნიშნული სისტემა მიზნად ისახავს ბაზვი 1 ჰესის მშენებლობიდან ოპერირებაზე გადასვლისა და მომავალი ოპერირების ეტაპებზე გარემოზე შესაძლო ზემოქმედების პრევენციას, შემცირებასა და კონტროლს.

გარემოსდაცვითი მართვა მოიცავს მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულებას, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას, ძირითადი გარემოსდაცვითი კომპონენტების მუდმივ მონიტორინგს და საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობას. გარემოსდაცვითი საკითხების მონიტორინგი ხორციელდება გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად. გეგმა მოიცავს ჰესის საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და შემარბილებელ ღონისძიებებს, მათ შორის ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის კონტროლს, ხმაურისა და ვიბრაციის მონიტორინგს, ნარჩენების მართვას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, გეოლოგიური სტაბილურობის შეფასებას, წყლის გამოყენებასა და სხვა შესაბამის გარემოსდაცვით საკითხებს.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის კალენდარი უზრუნველყოფს მონიტორინგის დაგეგმვასა და განხორციელებას თვიურ, კვარტალურ და სეზონურ პერიოდებში. შესაბამისი პასუხისმგებლობები განაწილებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების გუნდსა და ტექნიკურ გუნდს შორის.

### **ბიომრავალფეროვნების დაცვა**

ბაზვი 1 ჰესისთვის ბიომრავალფეროვნების დაცვა გარემოსდაცვითი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ხორციელდება კვალიფიციური, დამოუკიდებელი მესამე მხარის სპეციალისტების მონაწილეობით. კვლევები

მოიცავს ჰაბიტატებს, მცენარეულ საფარს, ძუძუმწოვრებს, ფრინველებს, რეპტილიებს, ამფიბიებს, ხელფრთიანებსა და ჰესის არეალში გავრცელებულ სხვა სახეობებს. აღნიშნული კვლევები ხელს უწყობს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებას, შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი გამოსასწორებელი ქმედებების განსაზღვრას.

კომპანია ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებებს ახორციელებს ეროვნული გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაცვის მაღალი მნიშვნელობის მქონე სახეობებსა და მგრძობიარე ჰაბიტატებს, რომლებიც მდებარეობს ჰესის არეალში, ან მის მიმდებარედ. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ველური ბუნების მონიტორინგის საშუალებები, მათ შორის ფოტოხაფანგები და ხელოვნური თავშესაფრები. ეს ხელს უწყობს სახეობების აქტივობაზე დაკვირვებას და საპროექტო არეალში ეკოლოგიური პროცესების უკეთ შეფასებას.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიების აღდგენა და გამწვანება კომპანიის გარემოსდაცვითი მართვის მნიშვნელოვანი ნაწილია. სამშენებლო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უბნების რეაბილიტაცია, მათ შორის ჰიდროთესვა და ეროზიის კონტროლის სხვა ღონისძიებები, ხელს უწყობს ფერდობების სტაბილიზაციას, ნატანის შემცირებას, მცენარეული საფარის აღდგენას და ეტაპობრივ გაუმჯობესებას.

### **წყლის ბიომრავალფეროვნებისა და მდინარის ეკოსისტემის მონიტორინგი**

წყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ბახვი 1 ჰესის გარემოსდაცვითი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მონიტორინგი ტარდება დამოუკიდებელი სპეციალისტების მიერ და მოიცავს თევზის სახეობებისა და რაოდენობის, მაკროუხერხემლოების ტაქსონომიური მრავალფეროვნების, მდინარის ჰაბიტატების მდგომარეობისა და მდინარე ბახვისწყლის ეკოლოგიური მაჩვენებლების შეფასებას.

აღნიშნული მონიტორინგი ხელს უწყობს წყლის ეკოსისტემებზე ჰესის საქმიანობით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების შეფასებას და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობის გადამოწმებას. მიღებული მონაცემები გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში დამატებითი გარემოსდაცვითი ქმედებების დასაგეგმად, მდინარის ეკოლოგიური მდგომარეობის შესანარჩუნებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჰესის საქმიანობა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვით ვალდებულებებსა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნებს.

### **ჰაერის ხარისხი, ხმაური და ვიბრაცია**

ბახვი 1 ჰესი ახორციელებს ჰაერის ხარისხის, მტვრის, ხმაურისა და ვიბრაციის მონიტორინგს. მონიტორინგის მიზანია მშენებლობასთან, მონტაჟთან, ტექნიკურ მომსახურებასა და მომავალ ოპერირებასთან დაკავშირებული შესაძლო ზემოქმედების კონტროლი. მონიტორინგი ტარდება მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნებისა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

მტვრის, ხმაურისა და ვიბრაციის კონტროლის ღონისძიებები გამოიყენება დასაქმებულებზე, მიმდებარე თემსა და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესამცირებლად. ეს მოიცავს სამშენებლო მოედნის პრევენციულ მართვას, რეგულარულ შემოწმებებს და საჭიროების შემთხვევაში, გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელებას.

### **გეოლოგიური მონიტორინგი და ფერდობების სტაბილურობა**

გეოლოგიური პირობების მონიტორინგი კომპანიის გარემოსდაცვითი რისკების მართვის ნაწილია. დამოუკიდებელი სპეციალისტები ჰესის არეალში აფასებენ ფერდობების სტაბილურობას, ეროზიულ პროცესებს, ზედაპირული წყლების არინების მდგომარეობას და შესაძლო გეოტექნიკურ რისკებს.

გეოლოგიური მონიტორინგის რეკომენდაციები, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებულია სამშენებლო მოედნის მართვასა და ტექნიკურ დაგეგმვაში. ეს ხელს უწყობს ფერდობების სტაბილიზაციას, ზედაპირული წყლების არინების გაუმჯობესებას, ეროზიის პრევენციას, ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას და ჰესის არეალის გრძელვადიან გარემოსდაცვით მდგრადობას.

### **სათბური აირების ემისიები და კლიმატთან დაკავშირებული შედეგები**

ბახვი 1 ჰესი ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესია, რომელიც ოპერირების დაწყების შემდეგ განახლებად ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ამ ტიპის ჰესისთვის პირდაპირი საოპერაციო ემისიები, მნიშვნელოვნად დაბალი იქნება, რადგან ელექტროენერგიის წარმოება არ საჭიროებს საწვავის წვას ან დიდი წყალსაცავის შექმნას.

მშენებლობიდან ოპერირებაზე გადასვლის ეტაპზე ბახვი 1 ჰესი აღრიცხავს პირდაპირ (Scope 1), არაპირდაპირ (Scope 2) და სხვა არაპირდაპირ (Scope 3) ემისიებს. ეს ხელს უწყობს გამჭვირვალობას და ქმნის საფუძველს ემისიების შემდგომი მართვისთვის. პირდაპირი ემისიები ძირითადად საწვავის მოხმარებას უკავშირდება. არაპირდაპირი ემისიები დაკავშირებულია შესყიდულ ელექტროენერგიასთან, ხოლო სხვა არაპირდაპირი ემისიები მოიცავს ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებულ მიმართულებებს, მათ შორის კონტრაქტორების საქმიანობას, ლოგისტიკას, შესყიდვებს, მივლინებებსა და საოპერაციო მომსახურებას.

ბახვი 1 ჰესის ოპერირების დაწყების შემდეგ, პირველი სრული საოპერაციო წელი გამოყენებული იქნება ემისიების საბაზისო მაჩვენებლის დასადგენად. განახლებადი ელექტროენერგიის წარმოებით თავიდან არიდებული ემისიები გამოითვლება ფაქტობრივი გამომუშავებისა და შესაბამისი ქსელის ემისიის ფაქტორის საფუძველზე. ეს მონაცემები ცალკე აისახება კომპანიის პირდაპირი, არაპირდაპირი და სხვა არაპირდაპირი ემისიების აღრიცხვისთან ერთად.

### **ნარჩენების მართვა**

ნარჩენების პასუხისმგებლიანი მართვა ბახვი 1 ჰესის გარემოსდაცვითი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ნარჩენები იმართება დამტკიცებული ნარჩენების მართვის გეგმის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, გარემოსდაცვითი ნებართვის მოთხოვნებისა და კომპანიის შიდა პროცედურების საფუძველზე.

ნარჩენების მართვის სისტემა მოიცავს ნარჩენების დახარისხებას, დროებით დასაწყობებას, ტრანსპორტირებას, შემდგომ მართვას, დოკუმენტირებას, კონტრაქტორების პასუხისმგებლობებსა და ნარჩენების გადაცემას შესაბამისი ლიცენზიის ან უფლებამოსილების მქონე კომპანიებისთვის. სახიფათო ნარჩენები ინახება სპეციალურად გამოყოფილ სათავსოში. მათი მართვა ხორციელდება სათანადო ნიშანდების, უსაფრთხო მოპყრობის პროცედურებისა და ლიცენზირებულ კომპანიებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

ბახვი 1 ჰესი ასევე მონაწილეობს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მექანიზმში სპეციფიკური ნარჩენების მართვის მიმართულებით. ეს მოიცავს საბურავებს, ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებს, ბატარეებს, აკუმულატორებს, ზეთებსა და საპოხ მასალებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ნარჩენების გადამუშავებას, მიკვლევადობას და მასალების უსაფრთხო მართვას მათი სასიცოცხლო ციკლის დასრულების შემდეგ.

### **წყლის რესურსების მდგრადი მართვა**

წყლის რესურსების მდგრადი მართვა ბახვი 1 ჰესის გარემოსდაცვითი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. წყლის გამოყენება ხორციელდება გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესაბამისად და ეფუძნება რესურსის ეფექტიან გამოყენებას, წყლის ხარისხის დაცვასა და ეკოლოგიური მოთხოვნების შესრულებას.

წყალი გამოიყენება საყოფაცხოვრებო და ტექნიკური მიზნებისთვის, მათ შორის ჰიგიენის, სანიტარიული საჭიროებების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისა და საჭიროების შემთხვევაში, მტვრის შემცირების მიზნით. წყლის მოხმარება აღირიცხება, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესურსის რაციონალური გამოყენება და გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მდინარეზე ბახვისწყალზე დამონტაჟებული ავტომატური დონმზომი სადგური უწყვეტ რეჟიმში აკვირდება მდინარის ბუნებრივ ჩამონადენს. მიღებული მონაცემები კვარტალში ერთხელ წარედგინება გარემოს ეროვნულ სააგენტოს. ოპერირების ეტაპზე ეკოლოგიური ხარჯის მართვა და მონიტორინგი დარჩება ერთ-ერთ ძირითად გარემოსდაცვით კონტროლის მექანიზმად, რათა დაცული იყოს ქვედა დინების ეკოსისტემები და წყლის ბიომრავალფეროვნება.

### ***გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მუდმივი გაუმჯობესება***

ბახვი 1 ჰესი გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს შიდა კონტროლის, დამოუკიდებელი მონიტორინგის, მარეგულირებელ ორგანოებთან ანგარიშგებისა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების, შრომის უსაფრთხოებისა და ტექნიკური გუნდების კოორდინირებული მუშაობის მეშვეობით.

მონიტორინგი მოიცავს ჰაერის ხარისხს, ხმაურს, ვიბრაციას, ზედაპირული წყლების ხარისხს, გეოლოგიურ პროცესებს, ბიომრავალფეროვნებას, მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნებას, ნარჩენების მართვას, წყლის გამოყენებასა და ჰესის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა გარემოსდაცვით საკითხებს.

გარემოსდაცვითი შედეგები რეგულარულად განიხილება კომპანიის მმართველობის პროცესებში. ზედამხედველობას ახორციელებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი, ხოლო საჭირო ინფორმაცია პერიოდულად წარედგინება მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს. ეს უზრუნველყოფს გარემოსდაცვით მიზნებთან, მარეგულირებელ მოთხოვნებთან და საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობას.

### **ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების შესრულება**

ბახვი 1 ჰესი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს მართავს შესაბამისი სისტემის საფუძველზე. მისი მიზანია თანამშრომლების, კონტრაქტორების, ვიზიტორებისა და იმ პირების დაცვა, რომლებზეც შესაძლოა ჰესის საქმიანობამ გავლენა მოახდინოს. სისტემა შეესაბამება საქართველოს შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობას, მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებსა და საერთაშორისო კარგ პრაქტიკას.

შრომის უსაფრთხოების კონტროლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშენებლობის ეტაპზე. ამ პერიოდში აქტიური სამუშაოები, მძიმე ტექნიკის გამოყენება, მასალების ტრანსპორტირება და კონტრაქტორების საქმიანობა ქმნის როგორც სამუშაო, ისე საზოგადოებრივი უსაფრთხოების რისკებს. აღნიშნული რისკების სამართავად საჭიროა მუდმივი ზედამხედველობა, პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება, სამუშაო უბნების რეგულარული შემოწმება და პრევენციული თუ გამოსასწორებელი ღონისძიებების დროული განხორციელება.

შრომის უსაფრთხოების გუნდი ყოველდღიურად აკონტროლებს სამუშაო პროცესებს. მათი პასუხისმგებლობა მოიცავს სამუშაო ადგილების შემოწმებას, რისკების შეფასებას, ინციდენტების პრევენციას და საჭიროების შემთხვევაში გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელებას. პარალელურად, სამოქალაქო სამუშაოების კონტრაქტორს ჰყავს საკუთარი გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გუნდი, მათ შორის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების ოფიცერი და ადგილზე მყოფი ექიმი. ეს უზრუნველყოფს ზედამხედველობის დამატებით დონეს და გადაუდებელ შემთხვევებზე სწრაფ რეაგირებას.

ჰესის ტერიტორიაზე შესვლამდე ან სამუშაოს დაწყებამდე ყველა თანამშრომელი, კონტრაქტორი, დროებითი პერსონალი, სპეციალისტი და ვიზიტორი გადის შესაბამის ინსტრუქტაჟს. ტრენინგები და ყოველდღიური ინსტრუქტაჟები გამოიყენება ობიექტისთვის დამახასიათებელი რისკების, უსაფრთხო სამუშაო მეთოდების, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების წესებისა და პირადი დაცვის საშუალებების სწორად გამოყენების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად.

ბახვი 1 ჰესზე მოქმედებს ინციდენტების აღრიცხვისა და შეტყობინების სისტემა. ყველა ინციდენტი რეგისტრირდება, განიხილება და საჭიროების შემთხვევაში დამატებით შეისწავლება. შემდგომ განისაზღვრება პრევენციული და გამოსასწორებელი ქმედებები. ეს ხელს უწყობს სამუშაო პირობების მუდმივ გაუმჯობესებას და მსგავსი შემთხვევების განმეორების რისკის შემცირებას.

კონტრაქტორებისა და ვიზიტორების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ტერიტორიაზე დაშვების კონტროლით, უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებით, ზედამხედველობითა და მოქმედი პროცედურების დაცვით. საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა მოიცავს ხანძარსაწინააღმდეგო კონტროლს, პირველადი დახმარების ორგანიზებას, სამედიცინო რეაგირების შესაძლებლობას და კომუნიკაციის პროცედურებს.

ადგილობრივი თემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ფიზიკური კონტროლისა და საოპერაციო პრაქტიკის კომბინაციით. მაღალი რისკის მქონე ინფრასტრუქტურა, მათ შორის სათავე ნაგებობები, ელექტროინსტალაციები და გადამცემი ხაზები, დაცულია ღობეებით, შეზღუდული დაშვებით, გამაფრთხილებელი ნიშნებითა და მონიტორინგის სისტემებით. რეგულარული მონიტორინგი ტარდება ამ ზომების გამართულობის დასადასტურებლად, ხოლო გამოვლენილი ხარვეზები დროულად სწორდება.

ამ მიდგომით, ბახვი 1 ჰესი უზრუნველყოფს, რომ მისი საქმიანობა არ ქმნიდეს რისკებს დასაქმებულებისთვის, კონტრაქტორებისთვის, ვიზიტორებისთვის ან ადგილობრივი თემებისთვის.

### სოციალური საკითხების მიმართულების მართვა

ბახვი 1 ჰესი სოციალური საკითხების მიმართულებას მართავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის, ადგილობრივი სამუშაო ძალის მართვის, საჩივრების მექანიზმის მართვის, ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციისა და სოციალური პროგრამების მეშვეობით. აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს ადგილობრივ თემებთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის შენარჩუნებას, დასაქმებულთა უფლებების დაცვას, ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერას და ბახვი 1 ჰესის საქმიანობის გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი ფორმით განხორციელებას.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა კომპანიის სოციალური მიმართულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ზემოქმედების არეალში მცხოვრებ ოჯახებთან კომუნიკაცია ხორციელდება უშუალო შეხვედრებით, რეგულარული ინფორმაციის გაზიარებით, ყოველთვიური ახალი ამბების ფურცლით, ადგილობრივი მედიითა და მრჩეველთა საბჭოს<sup>1</sup> მეშვეობით. ეს არხები ადგილობრივ მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას, დროულად მიიღოს ინფორმაცია ჰესის საქმიანობის შესახებ და დააფიქსიროს კითხვები, მოსაზრებები ან თხოვნები.

კომპანიაში მოქმედებს საჩივრების მართვის მექანიზმი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე დასაქმებულებისთვის. ყველა საჩივარი, თხოვნა ან სხვა მომართვა რეგისტრირდება, განიხილება და შესაბამისი პროცედურების მიხედვით იმართება. მექანიზმი ხელს უწყობს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და დაინტერესებულ

<sup>1</sup> 2021 წელს შექმნილი ბახვი ჰესის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭო ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი ორგანო. საბჭო შედგება 10 წევრისგან, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივ თვითმმართველობას, კერძო სექტორს, მედიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მხარეებთან ან სამუშაო ძალასთან დაკავშირებული საკითხების დროულ გადაწყვეტას. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი რჩება ძირითად საკონტაქტო პირად. კომუნიკაციისთვის გამოიყენება რამდენიმე არხი, მათ შორის ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა და კომპანიის ვებგვერდი. საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ხელს უწყობენ კომუნიკაციას, რათა თემის წევრებმა მარტივად შეძლონ კითხვების, მოსაზრებების ან თხოვნების დაფიქსირება.

ადგილობრივი სამუშაო ძალის მართვა ბახვი 1 ჰესის სოციალური მიდგომის მნიშვნელოვანი ნაწილია. შესაძლებლობის შემთხვევაში, კომპანია ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და სამუშაო პროცესში მათ ჩართულობას. დასაქმების პრაქტიკა ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, სამართლიანი მოპყრობის პრინციპებსა და დასაქმებულთა უფლებების დაცვას. მშენებლობიდან ოპერირების ეტაპზე გადასვლის პროცესში სამუშაო ძალასთან დაკავშირებული ცვლილებები იმართება მკაფიო კომუნიკაციით, სათანადო დოკუმენტირებითა და სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით.

სოციალური პროგრამები ხორციელდება ადგილობრივი საჭიროებებისა და კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების საფუძველზე. პროგრამები მოიცავს განათლების მხარდაჭერას, ინფრასტრუქტურულ ინიციატივებს, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების დახმარებას და ადგილობრივი თემების კეთილდღეობის ხელშეწყობას. ეს საქმიანობა ასახავს კომპანიის ვალდებულებას, შეინარჩუნოს პოზიტიური ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან და ხელი შეუწყოს ადგილობრივ განვითარებას.

განათლების მიმართულებით ბახვი 1 ჰესი მხარს უჭერს ადგილობრივი მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვისა და განახლებადი ენერჯის საკითხებზე. ეს მოიცავს სასწავლო ინიციატივებს ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების, ნარჩენების მართვის, კლიმატის ცვლილების, საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. კომპანია ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას იმ სფეროებში, რომლებიც დაკავშირებულია ჰიდროენერგეტიკასთან, ინჟინერიასთან და გარემოს დაცვასთან. კერძოდ, მოქმედებს ბახვი 1 ჰესის სტუდენტური სტიპენდია, რომელიც ჩამოთვლილ მიმართულებებზე უმაღლესი სწავლის გაგრძელების შემთხვევაში სწავლის საფასურის 80%-ის დაფინანსებას ითვალისწინებს.

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობებისა და გადაადგილების გაუმჯობესებისკენ. ეს მოიცავს გზების რეაბილიტაციასა და მოვლა-პატრონობას, საჭიროების შემთხვევაში გზების მოსწორებასა და მოხრეშვას, მტვრის შემცირების მიზნით გზების მორწყვას და თემისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის შექმნას, ან გაუმჯობესებას, როდესაც ასეთი საჭიროება გამოვლენილია და შეთანხმებულია ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან.

სპეციალური საჭიროებების მქონე პირების მხარდაჭერა კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ბახვი 1 ჰესი მიზნობრივ დახმარებას უწევს მოწყვლად ჯგუფებს, რაც ხელს უწყობს საბაზისო მხარდაჭერაზე წვდომის გაუმჯობესებას და სოციალური ჩართულობის გაძლიერებას ზემოქმედების არეალში მდებარე თემებში.

კომპანია ასევე ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას ადგილობრივი მომსახურებების გამოყენებით. ეს მოიცავს ტრანსპორტირებას, კვებას, ტექნიკურ მხარდაჭერას და სხვა მომსახურებებს, რომლებსაც კომპანიას ადგილობრივი მოსახლეობა და მცირე ბიზნესები აწვდიან. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ადგილობრივმა თემებმა სარგებელი მიიღონ როგორც დასაქმების, ისე ბახვი 1 ჰესის საქმიანობასთან დაკავშირებული ადგილობრივი შესყიდვებისა და მომსახურების მეშვეობით.

საერთო ჯამში, ბახვი 1 ჰესის სოციალური მიმართულების მართვა ხელს უწყობს გამჭვირვალე კომუნიკაციას, სამართლიან შრომით პრაქტიკას, საჩივრების ეფექტიან მართვას და ადგილობრივ თემებთან უწყვეტ ჩართულობას. ამავდროულად, იგი უზრუნველყოფს სოციალური ვალდებულებების პასუხისმგებლიან და საჭიროებებზე დაფუძნებულ შესრულებას.

### **უწყვეტი გაუმჯობესება**

ბახვი 1 ჰესი უზრუნველყოფს პროდუქტის პასუხისმგებლიანი მართვის პრაქტიკის მუდმივ გაუმჯობესებას. კომპანია პერიოდულად განიხილავს მდგრადობის შედეგებს, გარემოსდაცვით კონტროლის მექანიზმებს, ოპერირებისთვის მზადყოფნის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში, განახლებადი ენერჯის სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ პროცესებს. ამ გადახედვის მიზანია გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა. პროცესში გათვალისწინებულია მარეგულირებელი მოთხოვნების ცვლილებები, საოპერაციო პირობები, ტექნოლოგიური განვითარება, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი და საერთაშორისო კარგი პრაქტიკა. აღნიშნული პროცესი იმართება კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) შესაბამისად.

გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესი ხორციელდება კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის შესაბამისად. პროცესს მხარს უჭერს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების, ტექნიკური და იურიდიული გუნდების კოორდინირებული მუშაობა. ხარვეზების, ან გაუმჯობესების საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, განისაზღვრება და ხორციელდება შესაბამისი გამოსასწორებელი და პრევენციული ქმედებები. ეს ხელს უწყობს გარემოსდაცვითი შედეგების გაუმჯობესებას, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას, ჰესის საიმედო ოპერირებას და ბახვი 1 ჰესის განახლებადი პროდუქტის სანდოობას. ამ მიდგომით, ბახვი 1 ჰესი უზრუნველყოფს, რომ ოპერირების დაწყების შემდეგ მის მიერ წარმოებული ელექტროენერჯია იყოს არა მხოლოდ განახლებადი, არამედ პასუხისმგებლიანად მართული. ამ პროცესს მხარს უჭერს სანდო საოპერაციო კონტროლის მექანიზმები. ეს ხელს უწყობს კლიმატის მიზნების მიღწევას, ეკოსისტემების მთლიანობის დაცვას და დაინტერესებული მხარეების წინაშე ანგარიშვალდებულებას.

პროგრამა ექვემდებარება პერიოდულ გადახედვასა და განახლებას. განახლებისას გათვალისწინებულია მარეგულირებელი მოთხოვნების ცვლილებები, საოპერაციო პირობები, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის პროცედურები, განახლებადი ენერჯის სერტიფიცირებასთან დაკავშირებული საბაზრო მექანიზმები და საერთაშორისო კარგი პრაქტიკა. ცვლილებებს ამტკიცებს კომპანიის მენეჯმენტი, ხოლო განახლებული ინფორმაცია მიეწოდება დასაქმებულებს, რათა პროგრამა მუდმივად შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და შიდა პრაქტიკას.

### **პროგრამის გადახედვა და განახლება**

მოცემული პროგრამა პერიოდულად გადაიხედება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი შესაბამისობა:

1. მარეგულირებელ მოთხოვნებთან;
2. გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებთან;
3. კორპორაციული მმართველობის ჩარჩოსთან და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემასთან (ESMS);
4. მშენებლობიდან ოპერირებაზე გადასვლის ეტაპისთვის განსაზღვრული მოთხოვნები;
5. კარგი საერთაშორისო პრაქტიკა და დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინები

პროგრამის განახლებები მტკიცდება კომპანიის მმართველობის სტრუქტურის ფარგლებში და ეცნობება შესაბამის პერსონალს.

## დანართი 1. პასუხისმგებელი განახლებადი ელექტროენერჯის მახასიათებლები

მოქმედების სფერო	შესრულების იმპლემენტაცია
ჰიდროენერჯის წყარო	ელექტროენერჯია იწარმოება მხოლოდ ბახვი 1 ჰესის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროენერგეტიკული წყაროდან. ჰესის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 10.9 მგვტ-ს. აღნიშნული ხელს უწყობს დაბალემისიანი განახლებადი ელექტროენერჯის წარმოებას დიდი წყალსაცავის მოწყობის გარეშე. ამავდროულად, ბახვისწყლის მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის მახასიათებლები შენარჩუნდება მოქმედი გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად
ეკოლოგიური ხარჯის მოთხოვნებთან შესაბამისობა	ეკოლოგიური ხარჯის მოთხოვნებთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი იქნება ბახვი 1 ჰესისთვის განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯის გატარებისა და მონიტორინგის გზით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების/ნებართვის პირობებისა და მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. ბიომრავალფეროვნების დაცვის მიმართულებით გათვალისწინებულია თევზსავალის ფუნქციონირება, რომელიც ხელს უწყობს წყლის ეკოსისტემის კავშირის შენარჩუნებასა და თევზის გადაადგილებას. ამასთან, გაგრძელდება მდინარის ბუნებრივი ჩამონადენისა და მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, რათა დაცული იყოს მდინარის ეკოსისტემის მდგომარეობა
ბიომრავალფეროვნების დაცვის მექანიზმები	ბახვი 1 ჰესისთვის ბიომრავალფეროვნების დაცვის მექანიზმები მოიცავს თევზსავალის ფუნქციონირებას, ეკოლოგიური ხარჯის მართვას, მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს და ჰესის არეალში ხმელეთის ბიომრავალფეროვნებაზე უწყვეტ დაკვირვებას. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს წყლის ეკოსისტემის კავშირის შენარჩუნებას, ადგილობრივი ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვას და ეკოსისტემის მთლიანობის შენარჩუნებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების/ნებართვის პირობების, კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემისა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად
წყლის რესურსების მართვა	ბახვი 1 ჰესზე წყლის გამოყენება ხორციელდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების/ნებართვის პირობებისა და მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. მშენებლობიდან ოპერირებაზე გადასვლის ეტაპზე წყალი ძირითადად გამოიყენება საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის. წყლის მოხმარება აღირიცხება რესურსის ეფექტიანი გამოყენებისა და გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ასევე კონტროლდება ჩამდინარე წყლების ხარისხი, რათა დაცული იყოს მოქმედი სტანდარტები. ბახვისწყლის მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის მონიტორინგისთვის გამოიყენება ავტომატური დონმზომი სადგური, ხოლო მიღებული მონაცემები დადგენილი წესით, კვარტალში ერთხელ, წარედგინება გარემოს ეროვნულ სააგენტოს.
გარემოსდაცვითი კონტროლი	გარემოსდაცვითი კონტროლი მოიცავს ნარჩენების დახარისხებას, დროებით დასაწყობებას, ტრანსპორტირებასა და შემდგომ მართვას დამტკიცებული ნარჩენების მართვის გეგმისა და მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. ბახვი 1 ჰესის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, მათ შორის საყოფაცხოვრებო, ინერტული, შესაფუთი, სპეციფიკური და სახიფათო ნარჩენები, საჭიროების შემთხვევაში იმართება შესაბამისი ლიცენზიის ან უფლებამოსილების მქონე კონტრაქტორების მეშვეობით. გარემოსდაცვითი კონტროლი ასევე მოიცავს სამშენებლო მოედნის რეგულარულ შემოწმებას, ნარჩენებთან მოპყრობის პრაქტიკის მონიტორინგს, ჩამდინარე წყლების ხარისხის კონტროლს, მტვრის შემცირების ღონისძიებებს, ეროზიის პრევენციას და საჭიროების შემთხვევაში მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას.
შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა	ბახვი 1 ჰესი უზრუნველყოფს თანამშრომლების, კონტრაქტორების, ვიზიტორებისა და მიმდებარე თემების უსაფრთხოებას შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის, რეგულარული ტრენინგების, ყოველდღიური ინსტრუქტაჟების, რისკების შეფასების, სამუშაო უბნების შემოწმებისა და უწყვეტი ზედამხედველობის მეშვეობით. მშენებლობის ეტაპზე ძირითადი რისკები უკავშირდება სამშენებლო სამუშაოებს, სატრანსპორტო მოძრაობას, მიმე ტექნიკის გამოყენებას, სიმაღლეზე მუშაობას, მიწის სამუშაოებს და სეზონურ თუ რელიეფთან

	<p>დაკავშირებულ საფრთხეებს. აღნიშნული რისკები იმართება პრევენციული კონტროლით, შეზღუდული დაშვებით, გამაფრთხილებელი ნიშნებით, პირადი დაცვის საშუალებების გამოყენების მოთხოვნებით, საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნით და საჭიროების შემთხვევაში მაკორექტირებელი ქმედებებით. ოპერირების ეტაპზე შრომის უსაფრთხოების კონტროლი მორგებული იქნება ჰესის საოპერაციო რისკებზე, მათ შორის ელექტრო უსაფრთხოებაზე, დაშვების კონტროლზე, ჰიდროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებაზე, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებასა და რეგულარულ შემოწმებებზე.</p>
<p>სოციალური შესრულების მაჩვენებლები</p>	<p>ბახვი 1 ჰესი ინარჩუნებს სისტემურ კომუნიკაციას ადგილობრივ თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. კომუნიკაციის არხები ხელმისაწვდომია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერის, თემის მობილიზატორის, ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის, უშუალო შეხვედრების, ყოველთვიური ახალი ამბების ფურცლის, ადგილობრივი მედიისა და კომპანიის ვებგვერდის მეშვეობით. ჩართულობა მიმართულია ინფორმაციის გამჭვირვალე გაზიარებაზე, ადგილობრივი მოსახლეობის მოლოდინების მართვაზე, სამუშაო ძალასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე, თემის უსაფრთხოებასა და სამშენებლო სამუშაოების დასრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საჭიროების შემთხვევაში ტარდება მიზნობრივი კომუნიკაცია და ცნობიერების ამაღლების აქტივობები, რათა კონკრეტული საკითხები დროულად განიხილოს და ჰესის საქმიანობასა და მიმდებარე მოსახლეობას შორის უსაფრთხო ურთიერთქმედება იყოს უზრუნველყოფილი. კომპანიაში მოქმედებს ხელმისაწვდომი საჩივრების მართვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ყველა საკითხი, თხოვნა და საჩივარი რეგისტრირდება, ფასდება, შემდგომ რეაგირებას ექვემდებარება და დროულად, გამჭვირვალე წესით განიხილება.</p>